პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 230 (3969)
1969 წ. 25 ნოემბერი, სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გულთბილი გაცილება

ა. ქიბროწაშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონი

ძერჟინსკი, 24 ნოემბერი. გუშინ აქ საზეიმო ვითარებაში დამთავრდა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი. მაყურებლებმა გულთბილად მიულოცეს წარმატება ჩემპიონებს, პრიზიორებს, მათს მწვრთნელებს... მაგრამ განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გააცილეს მათ სპორტიდან სახელოვანი სამბისტები ანზორ ქიბროწაშვილი, ანზორ კიკნაძე და ოლეგ სტეპანოვი, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ჭიდაობის საბჭოთა სკოლას.

ქიბროწაშვილმა დიდ სპორტთან გამომშვიდობება საკავშირო ჩემპიონატში ბრწყინვალე გამოსვლით აღნიშნა: ფინალში დამაჯერებლად მოუგო კიშინიოველ ვ. უსიკს და სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

ოქროს მედლები წლეულს პირველად გათამაშდა ათ წონაში. აი, ვინ გახდნენ ჩემპიონები (წონითი კატეგორიების მიხედვით): ა. ხოში (ომსკი), ნ. კოზიცკი (კიევი), ს. სუსლინი (ლენინგრადი), დ. რუდმანი, ა. ციუპაჩენკო (ორივე — მოსკოვი), ა. ბონდარენკო (კიევი), კ. რომანოვსკი (მოსკოვი), ე. სოლოდუხინი (მოსკოვის ოლქი), ა. ქიბროწაშვილი (გორი), ვ. საუნინი (კიევი).

აღსანიშნავია, რომ ხუთმა სამბისტმა — ხოშმა, სუსლინმა, რომანოვსკიმ, სოლოდუხინმა და საუნინმა პირველად მოიპოვეს ჩემპიონის საპატიო ტიტული, ხოშმა კი საერთოდ პირველად მიიღო მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატში.

• • •

სურათზე: ა. ქიბროწაშვილი.

დინამოელთა ტურნე

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები 29 ნოემბერს მიემგზავრებიან უცხოეთის ქვეყნებში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად. დინამოელები არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში გამართავენ სამ შეხვედრას, ხოლო იტალიაში — ორს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დინამოელთა გამოსვლა იტალიაში, უფრო სწორად — სიცილიაში, ადგილობრივ „პალერმოსა“ და „კატანიასთან“. ორივე ეს გუნდი ატარებს თავისი ქალაქის სახელს.

პალერმო სიცილიის მთავარი ქალაქია და იტალიის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრი. „პალერმოში“ თამაშობს მხოლოდ 2 სიცილიელი, დანარჩენები კი იტალიის სხვა პროვინციების წარმომადგენლები არიან. ეს გუნდი გამოდის იტალიის ჩემპიონატის I ლიგაში და ჯერჯერობით ბოლო, XVI ადგილი უკავია.

„პალერმოს“ შემადგენლობაში გამოდიან: **მეკარეები** — ფერეტი, ჩეი, ბელავია; **დაცვა** — პაზეტი, ჯიუბერტონი, ბარტუოლო, ლანდრი, კოსტანტინი, რიცატო, დე ბელისი, ზგრაცუტი; **ნახევარდაცვა** — ლანჩინი, ლიგუორი, რეია, ბერჩელინო, პენა, კაუზიო; **თავდასხმა** — ტოსკი, ტროია, პელიცარო, ფერარი, ნოვა. მწვრთნელია კ. დი ბელა.

გუნდის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები არიან ბერჩელინო, პელიცარო, ფერარი. ეროვნული ჩემპიონატის განვლილ ტურში „პალერმო“ დამარცხდა „ვერონასთან“ — 0:2. აღსანიშნავია, რომ გუნდი გამოდიოდა ბერჩელინოსა და ფერარის გარეშე, რომლებსაც 2-2 მატჩით დისკვალიფიკაცია აქვთ უხეში თამაშისთვის.

„კატანია“ თამაშობს II ლიგაში, რომელშიც 20 გუნდი გამოდის. „კატანია“ ამჟამად გათამაშების ლიდერად ითვლება. მის შემადგენლობაში ირიცხებიან: **მეკარეები** — რადო, კრისკუოლო, ვიზენტინი; **დაცვა** — ბუცაკერა, კერუბინი, ლიმენა, სტრუკი, მონტანარი, რეჯანი; **ნახევარდაცვა** — ბერნარდისი, ვაიანი, გროსეტი, პერენი, გავაცი, ვოლპატო, პასკუალოტო, ცულიჩი; **თავდასხმა** — ტრომბინი, ძიმოლო, კავაცონი, ბონფანტი, არტინო, კოლომბო. გუნდის მწვრთნელია რუბინო.

აღსანიშნავია, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ვიზიტი დაემთხვევა საქართველოს ხელოვნების დეკადას სიცილიაში. ამას გარდა, სწორედ მაშინ გაიმართება იტალიის ჩემპიონატის მატჩები. 7 დეკემბერს ითამაშებენ: „პალერმო“ — „სამპდორია“, „კატანია“ — „ფოჯა“, ხოლო 14 დეკემბერს — „პალერმო“ — „კალიარი“, „რეჯანა“ — „კატანია“.

მ. ბარამია.

ინფორმაცია

● **ხარკოვი,** 23 ნოემბერი. ასუჭრიან შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილეებმა ნახევარი გზა განვლეს. 10 ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს მინსკელი საერთაშორისო ოსტატი ა. განტვარგი — 7,5 ქულა. კარგად თამაშობენ სხვა ახალგაზრდა ოსტატებიც ა. პრუსაკოვი (ვილნიუსი) და ი. შაუსი (რიგა). წინ კიდევ 9 ტურია.

● **მოსკოვი,** 23 ნოემბერი. აქ დამთავრდა დედაქალაქის ღია პირველობა ფიგურულ ციგურაობაში. საუცხოოდ იასპარეზეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა ი. როდნინამ და ა. ულანოვმა, რომლებმაც უახლოესი მეტოქეები გ. კარელინა და გ. პროსკურინი 13,5 ქულით ჩამოიტოვეს. ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ს. ჩეტვერუხინი. აღსანიშნავია მოსწავლე ვ. კოვალიოვის მზარდი ოსტატობა: ამ ჭაბუკმა II ადგილი დაიკავა. ყველა ზემოჩამოთვლილი სპორტსმენი მოსკოველია.

● ***ალმა-ათა,*** *23 ნოემბერი. სსრ კავშირის თასზე აკრობატთა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სენსაცია იყო უწინ ნაკლებად ცნობილი დნეპროპეტროვსკელი სპორტსმენის, 20 წლის ი. უმრიხინის საუცხოო გამოსვლა: მან ყველა მეტოქეს აჯობა ხტომებში. ამ სახეობაში ქალთა შორის იმარჯვეს სტავროპოლელებმა: პირველი იყო ნ. ტიმოფეევა, II — ვ. ჩუხარიოვა. ამ ქალაქის წარმომადგენლებმა გ. კრივსუნმა და ი. შუკლინამ გაიმარჯვეს შერეულ წყვილებშიც. ორი გამარჯვება იზეიმა დნეპროპეტროვსკელმა ნ. კოვშოვამ. მან ყველას აჯობა ბატუტზე ხტომასა და ამ იარაღზე სინქრონულ ხტომებში (ორენბურგელ ც. ზარშჩიკოვასთან ერთად). ვაჟთა წყვილებში საუკეთესონი იყვნენ ტოლიატელები ვ. არაკჩეევი და ლ. იამკოვოი. ვაჟებში ბატუტზე გაიმარჯვა მოსკოველმა ი. ზაიცევმა.*

● **წახკაძორი,** 23 ნოემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის იუნიორთა (1948-1951 წლებში დაბადებულნი) ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. გოგონათა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა რ. პოლოსოვამ (ბაქო), ჭაბუკებში — გ. ვარდანიანმა (ერევანი). გოგონათა წყვილებში გაიმარჯვეს ნ. ივანოვამ და ნ. გნატიუკმა (ორივე — მოსკოვი), ჭაბუკთა წყვილებში — ვარდანიანმა და ფ. ფილოსიანმა (ერევანი), შერეულ წყვილებში — პოლოსოვამ და ვარდანიანმა.

● **ტოკიო,** 23 ნოემბერი. აქ დამთავრდა იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება. შესანიშნავად იასპარეზა სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონმა, მოსკოველმა ლ. პეტრიკმა, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო — 37,9 ქულა. II ადგილზე გავიდა მისი თანაქალაქელი ო. კარასიოვა, რომელიც გამარჯვებულს 0,2 ქულით ჩამორჩა. III ადგილზეა იაპონელი კ. ხასიგუტი.

● ***პრაღა,*** *23 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად არიან კანადელი ჰოკეისტები. მათ უკვე მეორე მატჩი გამართეს ქვეყნის ეროვნულ გუნდთან და ამჯერად დამარცხდნენ — 2:5. როგორც ცნობილია, პირველ შეხვედრაში უპირატესობას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია და მატჩი ფრედ დამთავრდა — 4:4.*

ახალი ამბები

თბილისის უნივერსიტეტში ყველა იცნობს მოწინავე სტუდენტს ირინე კახიძეს. წარჩინებულ სწავლასთან ერთად იგი გატაცებით ეუფლება მხატვრულ ტანვარჯიშს. კახიძე უნივერსიტეტის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრია, ხშირად მონაწილეობს საქალაქო და რესპუბლიკური მასშტაბის ტურნირებში და წარმატებითაც. ამ სურათზე ირინე თბილისის პირველობაზე ახლახან დამთავრებული ასპარეზობის დროსაა აღბეჭდილი.

ფოტო ი. იუნაევისა.

205

◆ **კაუნასი,** 24 ნოემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელმა — კაუნასის „ჟალგირისის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა ამ პრიზის გათამაშების მერვედფინალში დაამარცხა ზაგრების „ლოკომოტივი“ — 15:10 (6:3). საკავშირო ჩემპიონატსა და საერთაშორისო ტურნირებში ბოლოდროინდელი წარუმატებელი გამოსვლების შემდეგ კაუნასელებმა ამჯერად ძლიერად ითამაშეს და ხუთქულიანი სხვაობა სავსებით შეესაბამება ძალთა შეფარდებას მოედანზე. მკვირცხლმა რ. ბიტინაიტემ იუგოსლაველთა კარში 5 ბურთი გაიტანა და კიდევ სამჯერ მოუპოვა გუნდს 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, რაც ზუსტად გამოიყენა გუნდის კაპიტანმა ე. პეტკენემ.

ხვალ

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49, III სართული) გაიმართება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს II პლენუმი.

დასაწყისი 11 ს.

დევიზი — „ჩემი სპორტული კლუბი“

დნეპროპეტროვსკის სპორტკლუბ „მეტეორის“ მმართველობა ატარებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღია საკავშირო ფოტოკონკურსს დევიზით — „ჩემი სპორტული კლუბი“.

კონკურსის მიზანია ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე საბჭოთა სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია; საბჭოთა სპორტის მთავარი თვისებების — მხურვალე პატრიოტიზმის, მასობრიობის, ოსტატობის, სპორტსმენთა კეთილშობილების, აგრეთვე, საბჭოთა სპორტის განვითარებაში სპორტკლუბ „მეტეორის“ სპორტსმენთა წვლილის გაშუქება, მათი მიღწევების ჩვენება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია.

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იყოს ფოტოსურათები (ფერადი და შავთეთრი) ზომით 30×40 და 24×30 სმ. ფოტოსურათებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნაჩვენები იყოს ავტორის საფოსტო მისამართი.

შედეგები 1970 წლის აპრილში შეჯამდება.

გამარჯვებულებისთვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 100 მან.
ორი მეორე პრემია — თითოეული 75 მან.
სამი მესამე პრემია — თითოეული 50 მან.
სამი წამახალისებელი პრემია — თითოეული 25 მან.

ამას გარდა, გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სპორტკლუბ „მეტეორის“ სპეციალური დიპლომებითა და დიდი მედლებით. ფოტოკონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა სამახსოვრო სამკერდე ნიშანი.

1970 წლის აპრილ-მაისში კონკურსზე წარმოდგენილი 100 საუკეთესო ფოტოსურათი გამოფენილი იქნება სპორტკლუბ „მეტეორში“ და დნეპროპეტროვსკის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში.

საკონკურსო მასალები უნდა გაეგზავნოს სპორტკლუბ „მეტეორში“ 1970 წლის 31 მარტამდე შემდეგი მისამართით: დნეპროპეტროვსკ-59, ბოლშევისტსკაია, 1. სპორტკლუბი „მეტეორი“. ფოტოკონკურსი „ჩემი სპორტული კლუბი“.

ყველა ცნობისთვის მიმართეთ ამ მისამართზე ან ტელეფონებით — 91-06-84 და 91-06-64.

მარცხის ფასი: 5 გამოუყენებელი საჯარიმო

ხელბურთელ ვაჟთა IV საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 ნოემბერი.

სსრ კავშირი (ნაკრები) — ჩეხოსლოვაკია (ნაკრები) 20:18 (9:8).

სსრ კავშირი: ხემიონოვი, სოლომკო, მაქსიმოვი (გაიტანა 3 გოლი), ფხაკაძე, ზელენოვი (1), ცერცვაძე (3), მახორინი (6), პანოვი, ზდორენკო, კოუხოვი (6), შევჩენკო (1).

ჩეხოსლოვაკია: არნოშტი, კლიმჩიკი (2), მარეში (2), კავანი (4), ჰავლიკი (2), ხორვატი (1), ბენეში (1), დუდა, კონეჩნი (3), ხერუმანი, ბრეშტანსკი (3).

მსაჯები — თ. ჩხარტიშვილი (სსრ კავშირი) და კ. გროკი (საფრანგეთი).

● ●

თბილისი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ოლიმპიური ნაკრები) 22:21 (10:11).

თბილისი: აბაიშვილი, ხუციშვილი, ექსეულიძე, ჰოლოკავა, ბუნაძე (3), ბერიაშვილი (8), ხინჩიკაშვილი (3), აბესაძე (2), სხიერელი (5), დვალიშვილი (1), სხირტლაძე, ლაზარიდისი, ფხალაძე.

ოლიმპიური: სიჩოვი, ვილიუმსონი, დანილოვი (3), ლუცენკო (1), სიდიაკინი (1), სტოლიაროვი (2), გრიშკიავიჩუსი (1), აქსიონოვი (1), პატრინი (2), გ. გულბისი (1), ამბარცუმიანი (4), ბოროდა (2), კლიონოვი (3).

მსაჯები — ჯ. აბზილავა და ვ. ილგუჯაური (ორივე — სსრ კავშირი).

● ●

თბილისი. სპორტის სასახლე. 23 ნოემბერი.

სსრ კავშირი (ნაკრები) — სსრ კავშირი (ოლიმპიური ნაკრები) 29:14 (11:7).

სსრ კავშირი: იშჩენკო, სოლომკო (2), მაქსიმოვი (6), ფხაკაძე, ზელენოვი, ცერცვაძე (2), მახორინი (9), პანოვი (4), ზდორენკო (3), კოუხოვი (1), შევჩენკო (1), ა. გულბისი (1).

ოლიმპიური: ვილიუმსონი, დანილინი, კლიონოვი (4), ლუცენკო (2), სიდიაკინი, სტოლიაროვი (2), გრიშკიავიჩუსი (2), აქსიონოვი (1), პატრინი, გ. გულბისი (3), ამბარცუმიანი, ბოროდა.

მსაჯები — აბზილავა და ელგუჯაური.

● ●

თბილისი (ნაკრები) — ჩეხოსლოვაკია (ნაკრები) 10:15 (7:10).

თბილისი: ხუციშვილი, ჰოლოკავა, ექსეულიძე (2), ბუნაძე, ბერიაშვილი (3), ხინჩიკაშვილი (1), აბესაძე, სხიერელი, დვალიშვილი (2), ამბარცუმიანი (2), ლაზარიდისი, ფხალაძე.

ჩეხოსლოვაკია: კორგერი, ჰავლიკი, კრანატი (2), ბრეშტანსკი (2), დუდა (2), კავანი (2), ხორვატი (3), კლიმჩიკი (1), ხერუმანი (1), ბენეში (1), პოდრიგალა (1).

მსაჯები — ნ. სუსლოვი (სსრ კავშირი) და კ. გროკი.

ამ შეხვედრით დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა IV საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" გარდამავალ პრიზზე. ჯილდო შარშანდელივით კვლავ მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო. II ადგილი წილად ხვდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, III — თბილისის კოლექტივს. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები უკონკურსოდ ასპარეზობდა და, ცხადია, მას ადგილი არ მიეკუთვნა. ამასთან, ჩვენს ოლიმპიელებს ჩეხოსლოვაკიელებთან შეხვედრა არ გაუმართავთ, რადგან სტუმრებმა თბილისში ჩამოსვლა ერთი დღით დააგვიანეს.

სსრ კავშირის ნაკრებმა თბილისელებთან უხეიროდ ჩატარებული მატჩის შემდეგ შედარებით უკეთ ითამაშა — ტოლი არ დაუდო მსოფლიო ჩემპიონებს — ჩეხოსლოვაკიელებს და მწვავე ბრძოლაში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. საბჭოთა გუნდში ამ დღეს გამოირჩეოდნენ მახორინი, კოუხოვი და ცერცვაძე. სწორედ ამ სამეულის კარგმა თამაშმა უზრუნველყო კოლექტივის საერთო წარმატება. და მაინც, მოედანზე საუკეთესო იყო მახორინი, რომლის უვნებელყოფა ერთობ გაუჭირდათ გამოცდილ ჩეხოსლოვაკიელებს. შეჯიბრების შემდეგ სპეციალურმა ჟიურიმ სამართლიანად აღიარა მახორინი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ და ამისთვის დაწესებული პრიზიც მას გადაეცა. მართალია, საბჭოთა ნაკრებმა I ადგილი მოიპოვა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ გუნდი მზადაა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ბრძოლებისთვის. ჯერ კიდევ ბევრია ხარვეზი — განსაკუთრებით, ტაქტიკურ აზროვნებაში. მწვრთნელებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ, რათა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზოს მოახლოებულ დიდ ბრძოლებში.

არც ჩეხოსლოვაკიელები ბრწყინავდნენ. ამჯერად მათ ახალი არაფერი უჩვენებიათ. შეიძლება ეს იმიტომაც მოხდა, რომ წინასაჩემპიონატო პერიოდში მათ არ სურთ „საიდუმლო" გასცენ მომავალ მეტოქეებთან. ერთი კი ცხადია: ჩეხოსლოვაკიელთაგან მუდამ სიურპრიზია მოსალოდნელი.

თბილისელებმა, მართალია, ტურნირის ორივე საკონკურსო მატჩი წააგეს, მაგრამ ეს მარცხი მათ მსოფლიო ჩემპიონატის სერიოზულ ფავორიტებთან მოუვიდათ და ამიტომ სამდურავს ვერ გამოვთქვამთ. ერთი კია დასანანი: ჩვენები ჩეხოსლოვაკიელებთან 5 გოლის სხვაობით დამარცხდნენ და ვერ გამოიყენეს სწორედ ამ სხვაობის გამაბათილებელი შესაძლებლობა—5 შვიდმეტრიანი საჯარიმო: სტუმრების მეკარემ კორგერმა ხუთჯერვე ოსტატურად მოიგერია იერიში. ალბათ ამიტომ იყო, რომ თავისი გუნდის წევრებიდან ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელმა სწორედ კორგერი გამოჰყო. ჩეხოსლოვაკიის გუნდში საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული პრიზიც კორგერს ხვდა.

თბილისელთა გუნდში თავი ისახელა ხუციშვილმა, რომელმაც მართლაც საუცხოო თამაშით დაიმსახურა ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი.

ჯ. ენუქიძე.

◆

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი ვ. ზელენოვი „ზარია ვოსტოკას" პრიზით.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

◆

საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	2	2	0	37—34	4
ჩეხოსლოვაკია	2	1	1	33—30	2
თბილისი	2	0	2	32—36	0

პირველი ნაბიჯი

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 23 ნოემბერი.

სსრ კავშირი (ჭაბუკთა ნაკრები) — პოლონეთი (ჭაბუკთა ნაკრები) 3:0 (1:0).

სსრ კავშირი: ჩანოვი („შახტიორი", დონეცკი), ბუძიშვილი („დინამო", თბილისი), მირზოიანი („ნეფტჩი", ბაქო), ზუევი („დინამო", კიევი. იგი შეცვალა გურუევმა სვერდლოვსკის „ურალმაშიდან"), გევორქიანი („არარატი", ერევანი), ზელენსკი („დინამო", კიევი), ხისამუტდინოვი („კაირატი", ალმა-ათა), ხაიდაჩნი („დინამო", მოსკოვი. იგი შეცვალა მეავანაძემ თბილისის „დინამოდან"), გრიგორიევი („სპარტაკი", მოსკოვი), შევჩენკო („ნეფტჩი", ბაქო), პეტროსიანცი („არარატი", ერევანი).

პოლონეთი: პალუხი (სიკოლსკი), ბალზიცკი, კრასკა, სოსნიცა, პლაშევსკი, სკურჩანსკი, ნიუაცკი, ფლიშნიკი, ჩერნაცკი (ციპკა), გრჟივაჩოვსკი, კლოჩაკი.

მსაჯი ე. ტაისტო (ფინეთი).

უეფა-ს ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირის ერთ შესარჩევ ჯგუფში თავი მოიყარეს ძლიერმა მეტოქეებმა: სსრ კავშირის, პოლონეთისა და რუმინეთის ნაკრებმა გუნდებმა. რახან ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის ქალაქებში გვიანი შემოდგომის უამინდობაა, თბილისელ ფეხბურთის მოყვარულებს საშუალება მიეცათ ენახათ საბჭოთა გუნდის შეხვედრა პოლონელებთან, ხოლო სულ მალე, 30 ნოემბერს, გორელები იხილავენ ასეთივე მატჩს რუმინეთის ნაკრებთან.

პოლონეთის გუნდზე ბევრს წერდნენ პრესაში. ამბობდნენ, რომ ესაა ყველა ადრინდელზე ძლიერი კოლექტივი, რომ მასში მრავალი პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდაა. შეიძლება ეს ასეა, მაგრამ თბილისში პოლონელებმა ბევრი ვერაფერი აჩვენეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა გრიგორიევმა. შესვენების შემდეგ პეტროსიანცმა მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 64-ე წუთზე მეავანაძემ საუკეთესოდ გამოიყენა საჯარიმო დარტყმა — 3:0.

ყველა გოლი გატანილ იქნა პალუხის კარში. იგი შეცვალა სიკოლსკიმ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, მათ შორის, პენალტი ხისამუტდინოვისგან.

რ. ქორიძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ცხრილი და კომენტარი

1969 წლის საკავშირო გათამაშება ფეხბურთში „ა" კლასის I ჯგუფის დუბლიორთა გუნდებს შორის ჩატარდა წინა წლებისგან განსხვავებული წესით. ზოგიერთი კლუბის ძირითადი შემადგენლობა ვერ მოხვდა პირველ შვიდეულში, დუბლიორები კი ცხრილის ზემო ნაწილში იყვნენ. ამის გამო დუბლიორთა გუნდებში საპრიზო ადგილების გათამაშება მოხდა წინასწარი თამაშების შემდეგ. ოქროს მცირე მედლები მოიპოვა დონეცკის „შახტიორმა", II ადგილზე გავიდა მოსკოვის „დინამო".

კიევისა და თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობებმა თავიანთი 2 წრის შეხვედრები ერთმანეთთან ვერ ჩაატარეს. ამიტომ მათ შორის მომხდარი მოლაპარაკების შედეგად ორივე გუნდს ჩაეთვალა 2-2 ქულა.

უმაღლესი ლიგის წამყვანი ჯგუფის (14 გუნდი) დუბლშემადგენლობათა სატურნირო ცხრილის საბოლოო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	14	10	2	2	25—7	22
„დინამო" (კიევი)	14	8	4	2	23—10	20
„ტორპედო" (მოსკოვი)	14	8	3	3	28—18	19
„შახტიორი" (დონეცკი)	14	8	2	4	24—18	18
„დინამო" (თბილისი)	14	7	3	4	13—13	17
„ზენიტი" (ლენინგრადი)	14	4	7	3	17—14	15
„დინამო" (მოსკოვი)	14	6	2	6	24—20	14
„დინამო" (მინსკი)	14	5	4	5	18—20	14
„ნეფტჩი" (ბაქო)	14	4	5	5	15—16	13
„სპარტაკი" (მოსკოვი)	14	5	3	6	15—19	13
„ტორპედო" (ქუთაისი)	14	4	3	7	11—30	11
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	14	2	4	8	21—25	8
ასკ (როსტოვი)	14	1	4	9	13—24	6
„ზარია" (ლუგანსკი)	14	1	4	9	11—24	6

ფეხბურთი 69

●

„ბ" ჯგუფი

ამიერკავკასიის ზონა

23 ნოემბერს გაიმართა ბოლო კალენდარული შეხვედრა „ბ" კლასის ამიერკავკასიის ზონის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ცხინვალის „სპარტაკი" და გურჯაანის „ალაზანი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

საიუბილეო ტურნირი

გორი, 23 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ შედგა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირის განმეორებითი მატჩი ადგილობრივ „დილასა" და კიროვაბადის „დინამოს" შორის.

გორელებმა პირველი შეხვედრა სტუმრად წააგეს ანგარიშით 1:2. განმეორებითი მატჩი მათ საკუთარ მინდორზე ასევე წააგეს—1:2.

კიდევ ერთი ფინალისტი

საფეხბურთო სამყარო დიდი ინტერესით ელოდა გადამწყვეტ მატჩს ევროპის III შესარჩევ ჯგუფში იტალიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის. მათი მესამე მეტოქე — უელსის გუნდი 0 ქულით უიმედო აუტსაიდერს წარმოადგენდა, ფავორიტებს კი ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ — 5-5.

ეს მატჩი 22 ნოემბერს შედგა ნეაპოლში. იტალიელებმა არავითარი შანსი არ დაუტოვეს მოწინააღმდეგეს და იოლად, დიდი ანგარიშით დაამარცხეს იგი — 3:0.

იტალიელი ფეხბურთელები — 1934 და 1938 წლების მსოფლიო ჩემპიონები — გავიდნენ IX მსოფლიო პირველობის ფინალური თამაშების მონაწილეთა რიცხვში.

III შესარჩევ ჯგუფში საბოლოო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	4	3	1	0	10—3	7
გდრ	4	2	1	1	7—7	5
უელსი	4	0	0	4	3—10	0

ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები...

როცა ვეცნობი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მონაცემებს ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში სპორტული ბრძოლის წესების უხეში დარღვევების შესახებ, აგრეთვე, კომისიის გულდასაწყვეტ დასკვნას იმის თაობაზე, რომ „დისციპლინა ყველა მაჩვენებლის მიხედვით დაეცა", უნებურად იბადება კითხვა: „ვინ იცის, რამდენი უხეში დარღვევა დარჩა შარშან (და წლეულსაც) აღურიცხავი?"

ეს, რა თქმა უნდა, ჰიპოთეზური საკითხია, რადგან ზუსტ ციფრებს ვერასოდეს შევიტყობთ. არადა, ეს ციფრები ალბათ ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი იყო იმისა, ბოლო წლებში რა ზომებს მიაღწია ფეხბურთში ყბადაღებულმა მსაჯთა ლიბერალიზმმა. თუმცა, თითქოს არის საფუძველი დავასკვნათ, რომ „დისციპლინა ყველა მაჩვენებლის მიხედვით დაეცა" არა მხოლოდ ფეხბურთში. რაღაც მსგავსი ხდება ხელბურთში და კალათბურთშიც კი. აღარას ვამბობთ წყალბურთზე, რომელიც ამ მხრივ დიდი ხანია სალაპარაკოდ იქცა.

მახსოვს, ჯერ კიდევ 1966 წელს „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტმა რიჟკოვმა წამყვან საბჭოთა ხელბურთელთა გუნდების მწვრთნელებს მიმართა შეკითხვით: შესაძლებელია თუ არა ხელბურთელთა რამდენადმე ნაყოფიერი მოქმედება თამაშის ყველა წესის დაცვის პირობებში? პასუხი ერთსულოვანი იყო: „არა". „და მართლაც, — წერდა რიჟკოვი (წარსულში თავადაც კარგი ხელბურთელი), — მოთამაშე, რომელიც მეტოქეს იდაყვებს არ ურტყამს, ძალისმიერ ილეთებს არ იყენებს, ახლა უმაღლესი ლიგის ვერც ერთ გუნდში ვერ იპოვნის ადგილს".

მოთამაშეთა ასეთი თავისუფალი დამოკიდებულება ხელბურთის წესებისადმი, სხვათა შორის, დამახასიათებელია არა მარტო ჩვენი, არამედ საერთაშორისო შეჯიბრებებისთვისაც (უფრო სწორად, ეს სწორედ საერთაშორისო სარბიელიდან მოდის). ჩეხოსლოვაკიელი მიმომხილველი მუკი ხელბურთელთა 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ საუბრის დროს აღნიშნავდა, რომ ყოველ შეხვედრაში ფიქსირებული იყო წესების დაახლოებით 100 დარღვევა. და რაკი ყოველი მათგანი იწვევდა თამაშის შეჩერებას რამდენიმე წამით, გამოდის, რომ წმინდა სათამაშო დროის დაახლოებით ყოველ წუთზე საშუალოდ მსაჯის 3 სასტვენი მოდიოდა.

მაინც, რა აიძულებს ხელბურთელს, რომ ასე ხშირად და აშკარად წინასწარგანზრახულად დაარღვიოს თამაშის წესები? სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ წესები სრულყოფილი არ არის. სხვა სიტყვებით, სურათი ძალიან გვაგონებს წყალბურთში შექმნილ მდგომარეობას: ხომ ცნობილია, რომ წყალბურთში მოთამაშედ არ ითვლება ის, ვისაც წყალქვეშ წესებით კატეგორიულად აკრძალული სასტიკი ბრძოლა არ შეუძლია. ხელბურთში კი ეს დარღვევები ხდება აშკარად, მაყურებლებისა და მსაჯების თვალწინ.

ბოლო წლებში სასტიკი ძალისმიერი ბრძოლა ხშირად გვხვდება კალათბურთშიც. „ყველაფერი მოწმობს, რომ კალათბურთი ჰოკეიდ ქცევისკენ ისწრაფვის", — წავიკითხე „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე დაბეჭდილ ერთ-ერთი შეჯიბრების ანგარიშში. ამ წერილიდან შევიტყვე, რომ „სტროიტელ" — „ჟალგირისის" მატჩში პაულაუსკასი უხეშად მოცელეს, მეორე მოთამაშე კი — ნიკოლაევი, ნამდვილ ნოკაუტში აღმოჩნდა. რაღა შორს მივდივართ, რომელ ჩვენგანს არ უნახავს ამგვარი სცენები? არადა, კალათბურთის წესები, წყალბურთისა და ხელბურთისგან განსხვავებით, დაულაგებელი და მოუწესრიგებელი სულაც არ არის. რა ხდება? ნერვების ბრალია? ცუდი აღზრდაა დამნაშავე? აუცილებელი გამარჯვების ჟინი? ასეა თუ ისე, კალათბურთის თამაშის ჩვევების გაუხეშება უკვე არც თუ სახუმარო შეშფოთებას იწვევს სპორტის ამ სახეობის სპეციალისტთა შორის.

თუმცა, დავუბრუნდეთ ფეხბურთს, რომელიც ტრადიციულად სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. თუ გახსოვთ, წლევანდელი სეზონის დასაწყისში გვქონდა იმედი, რომ ფეხბურთის მინდვრებზე დისციპლინის დარღვევასთან ბოლოს და ბოლოს გადამჭრელი, უშეღავათო ბრძოლაა გამოცხადებული. ამის საფუძველს იძლეოდა ფედერაციის წარმომადგენელთა არაორაზროვანი განცხადებებიცა და ისიც, რომ სეზონის სტარტზე მართლაც წინა წლებზე მეტი იყო მინდვრიდან გაძევებისა და გაფრთხილების მაგალითები. „უნდა მოგახსენოთ, რომ მსაჯობის დონის ასეთი ამაღლება შემთხვევითი არ არის, — წერდა ამის გამო ფედერაციის თავმჯდომარე გრანატკინი. — იგი ჩვენი პოზიციის პირდაპირი შედეგია და იმაში მდგომარეობს, რომ ამთავითვე მოვუღოთ ბოლო საგაზაფხულო ლიბერალიზმს, რომელიც წინა ჩემპიონატების სტარტებზე შეინიშნებოდა. ეს არც კამპანიაა, არც ეპიზოდი, ეს ჩვენი ხაზია".

შეგვიძლია თუ არა ეჭვი შევიტანოთ, რომ ფედერაციის განზრახვა სწორედ ასეთი იყო? რომ მისი მოწოდება (მომყავს სიტყვა-სიტყვით) — „უხეშობასთან ბრძოლაში არაფერს უნდა შევუშინდეთ" — მაინცდამაინც გულწრფელი არ იყო? რასაკვირველია, არა.

მაშ, როგორია ნამდვილი სურათი? მივმართოთ სპორტულ პრესას. განა სპორტისადმი მიძღვნილი საგაზეთო სვეტები წლეულსაც უწინდებურად აჭრელებული არ იყო იმის დამადასტურებელი ანგარიშებით, რეპლიკებით, შენიშვნებით, რომ უხეშობას ფეხბურთის მინდვრებზე ჯერაც ვერ ამოუკვეთეს ფეხი? განა ნაკრების მწვრთნელი კაჩალინი არ წუხდა, რომ ბევრი მისი შერჩეული მოთამაშე სერიოზულად დაშავდა? და ბოლოს, განა არ გვხვდება უდისციპლინობის მაგალითები ჭაბუკთა ფეხბურთში? როცა ევროპის ჭაბუკთა ტურნირზე გვიზიარებდა შთაბეჭდილებებს, მწვრთნელი ბობროვი აშკარად შეშფოთებული იყო. იგი წერდა: „როცა ბურთს ვერ ჩაიგდებდნენ ხელში, ჩვენი იუნიორები მეტოქეებს ტრუსებში სწვდებოდნენ ხოლმე, ჯიკაობდნენ, მუჯლუგუნებს იშველიებდნენ".

„არ შეიძლება ასე დაიწყო გზა ფეხბურთში!" — გულდაწყვეტით ამბობდა ბობროვი და კითხულობდა: „იქნებ რაღაც გამოგვრჩა ახალგაზრდების აღზრდის დროს, მათი ფსიქოლოგიური და მორალური მომზადების დროს?"

მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა, ჭაბუკთა ფეხბურთს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ჯერჯერობით კი ოსტატთა გუნდების მოთამაშეებზე გავაგრძელოთ საუბარი და აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებისთვის დამახასიათებელი მათი უდისციპლინო ქცევა ჯერ კიდევ გაზაფხულიდანვე სენსაციური გახდა. ერთი სიტყვით, ფეხბურთის მოყვარულებსა და ფედერაციას იმედი გაუცრუვდათ. მე უკვე დავწერე ამის შესახებ „იზვესტიაში", მაგრამ ის, რაც მაშინ ფეხბურთის მინდვრებზე ხდებოდა, ღმერთმანი, მეხსიერებიდან ასე იოლად არ წაიშლება.

ერთხელ მაისში, მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს კალენდარული მატჩის შემდეგ მწვრთნელებმა პრეს-კონფერენცია გაუმართეს ჟურნალისტებს. ლუჟნიკის ტრიბუნებს ქვეშ რაღაც გზებით ლიტერატორი კ-ც მოხვდა. და დაუშინა შეკითხვები! კერძოდ, „დინამოს" მწვრთნელ ბესკოვს ჰკითხა, რატომ ურტყა ფეხებში დინამოელთა მცველმა სემიონოვმა არმიელთა თავდამსხმელს დუდარენკოსო? (მართლაც, შვიდი თუ რვა შემთხვევა იყო). ბესკოვმა ფეხბურთის ამ ნეოფიტს აუხსნა, რომ სემიონოვი „დინამოში" ახლახან გადმოვიდა მეორე ლიგის გუნდიდან, ამიტომ მას ჯერჯერობით არ ჰყოფნის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რათა სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს ისეთ ტექნიკურ და სწრაფ ფორვარდს, როგორიც დუდარენკოაო. მაგრამ ლიტერატორი ასეთმა ახსნამ ვერ დააკმაყოფილა და იგი განაგრძობდა დაკითხვას: „რატომ აძლევს მწვრთნელი სემიონოვს ასეთი ხერხების გამოყენების უფლებას?" სპორტულმა ჟურნალისტებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს. მაშინ ბესკოვმა მხრები აიჩეჩა და თქვა, სემიონოვს ბოროტი განზრახვა არ ჰქონია. უბრალოდ, ყოველთვის ვერ ასწრებდა და ბურთის მაგიერ მეტოქეს ურტყამდა ფეხებშიო.

სავსებით დასაშვებია, რომ ამჯერად უხეშობა წინასწარ მართლაც არ იყო განზრახული. მით უმეტეს, რომ ბესკოვი წარსულში თავად ფეხბურთის რაინდი გახლდათ და როგორც პედაგოგი, სპორტსმენს ასეთ საქციელს არამც და არამც არ მოუწონებდა. მაგრამ მატჩის მსაჯი ტაბაკოვი რატომღა სწყალობდა სემიონოვს? თამაშის წესები, რომელსაც არბიტრი მტკიცედ უნდა იცავდეს, ამბობს: ასეთი შეცდომების სისტემატური გამეორებისთვის მოთამაშეს მინდვრიდან აძევებენ! იქნებ ვინმემ თქვას, ტაბაკოვს ეს შეცდომები არ შეუნიშნავსო. სამწუხაროდ, მან სწორედ ასეთივე შეცდომებისთვის შვიდჯერ თუ რვაჯერ საჯარიმო დარტყმით დასაჯა „დინამო". და ცსკა-ს ტექნიკურ, სწრაფ თავდამსხმელს მსაჯის წყალობით პატიოსნური სპორტული უპირატესობა წაერთვა.

მაგრამ რა არის წინასწარ განუზრახავი უხეშობა? მახსოვს, ერთი პოეტი „ფუტბოლში" წერდა, რომ, როცა მოთამაშე უხეშობს, მას აკლია დახვეწილობა, ოსტატობა. ამის ნიმუშია სემიონოვი, ბურთს რომ უმიზნებდა და ფეხებში ურტყამდა. „მაგრამ თუ ფეხებში დაუმიზნეთ და ფეხებში მოარტყით, — შენიშნავდა პოეტი, — ეს უკვე უხეშობა კი არა, უსინდისობაა!"

საინტერესოა, რა სასჯელით ისჯება ფეხბურთში წინასწარ განზრახული, წინასწარ ჩაფიქრებული დარტყმა? ამისთვის არსებობს მხოლოდ ერთი სასჯელი — მინდვრიდან გაძევება! და ავტომატურად — დისკვალიფიკაცია რამდენიმე თამაშით.

ასეთია ფეხბურთის წესები. ახლა კი ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება შევაჩერო ერთ პატარა ამბავზე, რომლის მოწმეც მე თავად გახლდით და რომელიც ნაწილობრივ აისახა პრესაში. მაისის ბოლოს ჩატარდა მოსკოვის „დინამოსა" და „ნეფტჩის" მატჩი თასზე. შეხვედრის შემდეგ მსაჯთა ოთახში შევედი, სადაც ცნობილი მიმომხილველი ლეონტიევი ინტერვიუს იღებდა არბიტრ ხიარშისგან. არბიტრი მაგიდას უჯდა და ოქმში გაფრთხილებას უწერდა „ნეფტჩის" მცველ ზეინალოვს, რომელმაც მეტოქეს ფეხებში მოარტყა. ბუნებრივია, ლეონტიევმა მწვრთნელს ჰკითხა, როგორ აფასებთ ამ საქციელსო.

— ეს წინასწარ განზრახული დარტყმა იყო, — უპასუხა ხიარშმა.

ლეონტიევს სახე მოეღრუბლა და იკითხა:

— მაგრამ განა წესების თანახმად ამ შემთხვევაში ზეინალოვი მინდვრიდან არ უნდა გაგეძევებინათ?

ხიარშმა მშვიდად უპასუხა:

— არ გავაძევე, რადგან მივხვდი, რომ ზეინალოვი გულწრფელად შეწუხდა ამ საქციელის გამო...

ვფიქრობ, აქედან შეგიძლიათ დაასკვნათ, როგორ ექცევიან ჩვენი მსაჯები (ჩვევის თანახმად მინდოდა დამეწერა, ზოგჯერ ექცევიან-მეთქი, მაგრამ შემდეგ წავშალე ეს სიტყვა) ფეხბურთის წესებს. თანაც დიდი დრო როდი იყო გასული მას შემდეგ, რაც ფედერაციამ მოგვიწოდა ბოლო მოგვეღო საგაზაფხულო ლიბერალიზმისთვის და, ამასთან, უხეშობასთან ბრძოლაში არაფრისა შევშინებოდა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ლეონტიევის მეორე შეკითხვაზე, როგორ გრძნობთ თავს მატჩის შემდეგო, ხიარშმა თქვა:

— კარგად, კარგად მორალური თვალსაზრისით.

ამ პატარა ისტორიის თავისებური კვინტესენციაა ეპიზოდის დასასრული: მსაჯთა ოთახში შევიდა „ნეფტჩის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წინასწარ ოქმში ჩაიხედა და გრძნობამორეულმა უთხრა ხიარშს:

— ყველაფერი სწორია... სულითა და გულით გმადლობთ!

საინტერესოა, თუ გესმით, რისთვის უთხრეს მსაჯს ეს მადლობა? ყოველი შემთხვევისთვის გაგახსენებთ, რომ ერთი დღით ადრე „ნეფტჩის" მოთამაშეებს ბანიშევსკისა და სემიგლაზოვს დისკვალიფიკაცია მისცეს უვადოდ, ბრუხტის — პირობით (ფეხბურთის მინდვრის გარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის). იმ ამბავმა, რომ ხიარშმა ზეინალოვის სახეზე მონანიება ამოიკითხა, „ნეფტჩის" ეს ფეხბურთელი ერთი თუ ორი თამაშით დისკვალიფიკაციისგან იხსნა.

სხვათა შორის, სპორტული პრესა ბევრჯერ იძლეოდა სიგნალს ბაქოს გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის განსაკუთრებით დაბალ დონეზე, მისი ხელმძღვანელების მფარველურ ქცევაზე. ეს ასეა. ამავე დროს, საკითხავია, განა არ ედება ბრალი იმ მსაჯებსაც, რომლებიც „ნეფტჩის" მატჩებზე მინდორზე სასტვენით ხელში გამოდიან და ფეხბურთის წესების მაგიერ საკუთარი შეხედულებების თანახმად მოქმედებენ?

უნებურად იბადება მეორე კითხვაც: იქნებ სწორედ ხიარშის ნიჭისა (მოთამაშეთა სახეზე მონანიების დონის ამოცნობის უნარი) და ტაბაკოვის მანერის (განურჩეველი დამოკიდებულება სისტემატური უხეშობისადმი) მიხედვით მოქმედებენ ჩვენი მსაჯები ბავშვების, ჭაბუკთა გუნდების მატჩებშიც? მით უმეტეს, რომ ხიარში და ტაბაკოვი უცვლელნი არიან საუკეთესო არბიტრების სიებში, რომელთაც საკავშირო კოლეგია ამტკიცებს.

მაგრამ განა მხოლოდ ამ ორი კაცისგან შეუძლიათ მაგალითის აღება ახალბედა არბიტრებს? შარშანდელ სეზონში „იზვესტიაში" ვწერდი: „ის, რაც ხუთი-ექვსი, მით უმეტეს, ათი წლის წინ არბიტრების მიერ წესების აშკარა დარღვევად იყო მიჩნეული, დღეს ხშირად საერთოდ შეუმჩნეველი რჩება".

მკითხველი იტყვის: „ძალიან კარგი, მაგრამ დაგვისახელეთ კონკრეტულად ასეთი მსაჯები". ბატონი ბრძანდებით. აიღეთ უმაღლესი ლიგის არბიტრთა სია და წაიკითხეთ რუსული ანბანის მიხედვით „ა"-დან „ია"-მდე — ანძიულისიდან იაკობსონამდე. სამწუხაროდ, მე დღესაც ამ აზრისა გახლავართ. და კიდევ ერთს ვფიქრობ: იქნებ სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი უეფა-ს ბოლო ტურნირში ჩვენი იუნიორების უდისციპლინო საქციელისა, რამაც ასე შეაშფოთა ბობროვი? დაბეჯითებით ვიცი, რომ იუნიორთა ნაკრების მწვრთნელი ლიადინი თავის აღსაზრდელებს არ დაარიგებდა, მეტოქეებს ტრუსებში სტაცეთ ხელი და მუჯლუგუნები უთავაზეთო. მაგრამ, თუ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია (რომლის გულწრფელობაშიც მე მაინც არ მეპარება ეჭვი) გადაჭრით წინააღმდეგია „საგაზაფხულო" და ყოველგვარი სხვა ლიბერალიზმისა, მაშ რა ნიადაგზეა დაფუძნებული მსაჯთა კორპუსის ასეთი გულგრილი დამოკიდებულება მისი პირდაპირი მოვალეობისადმი, დასასრულ, თვით თამაშის წესებისადმი?

მართლაც, რა ხდება?

შეიძლება საბოლოოდ მოძველდა თვით ფეხბურთის თამაშის წესები, როგორც ხელბურთსა და წყალბურთში? არა. ამას არც ერთი სპეციალისტი არ ამტკიცებს. არც ფეხბურთის მატჩების მსაჯობაა მაინცდამაინც ძნელი (თუ რაიმე სხვა, გარეგანი მოსაზრებები არ გაწუხებთ). ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო იოლია, ვიდრე ზოგჯერ გვეჩვენება. ფეხბურთის წესები ხომ ძალიან მარტივია. ეს განსაკუთრებით ითქმის ძალისმიერ ბრძოლაზე, რომელზეც ამ წერილში გვაქვს ლაპარაკი. ერთი მოთამაშე შეიძლება მეორეს დაეჯახოს, ოღონდ ეს სახიფათო და უხეში ქცევა არ უნდა იყოს. ამას გარდა, შეხება შეიძლება მხოლოდ მხრით და უშუალოდ ბურთის სიახლოვეს. ყველა დანარჩენი წესის დარღვევაა. ფეხის დადება, ყოველგვარი დარტყმა და ზურგზე შეხტომა, ხელის კვრა... საკითხავია, იოლი გასარჩევია თუ არა ყოველივე ეს წესებით ნებადართული მხრის გაკვრისგან? იოლზე იოლია. თუ, რასაკვირველია, გინდა გაარჩიო.

მაშ რა უშლით ხელს მსაჯებს? იქნებ ის, რომ მათმა საკუთარმა ლიბერალიზმმა თანდათანობით დეფორმაცია მოახდინა ზოგიერთი გულშემატკივრის წარმოდგენაში ევრეთ წოდებულ ორთაბრძოლებში შესაძლებლისა და დასაშვების შესახებ? ასე ჰგავს. მაყურებელთა ნაწილი უკვე მიეჩვია იმ აზრს, რომ მისმა საყვარელმა გუნდმა ქულები თუნდაც სიცოცხლის ფასად უნდა მოიპოვოს. ახლახან ამას ადასტურებდა პრესაში ისეთი ობიექტური და ავტორიტეტული მიმომხილველი, როგორიცაა რადიო და ტელეკომენტატორი ოზეროვი. მაგრამ აქ მარტო გულშემატკივრებში როდია საქმე, თუმცა მათს გარკვეულ გავლენას ახლა უთუოდ განიცდიან მსაჯები. საქმე არც ისაა, რომ ასეთ ვითარებაში რამდენადმე კარგავს აზრს თვით ძალისმიერი ბრძოლის ნორმების ცოდნა მოთამაშეთაგან. კიდევ უფრო უარესია, რომ ჟურნალისტების ერთი ნაწილი არასწორი წარმოდგენისაა როგორც ამ ნორმებზე, ისე იმ ვითარებაზე, რაც დღეს ფეხბურთის მინდვრებზეა შექმნილი.

ვიქნები გულახდილი: ბევრი მათგანი, ვინც ფეხბურთზე წერს, ძალიან ხშირად სასურველს სინამდვილედ ასაღებს.

„უხეშობა, ნებითი თუ უნებლიე, განზრახული თუ განუზრახველი, ფეხბურთში მუდამ შეიმჩნეოდა, — წერდა ერთ-ერთი ცნობილი ჟურნალისტი ერთ სპეციალურ გამოცემაში, — და არა მგონია, ახლა უარესი მდგომარეობა იყოს". წავიკითხე ეს და საკუთარ თვალებს არ დავუჯერე — წერილი დაიბეჭდა სწორედ შუა სეზონში, გასულ სეზონში, როცა, ფედერაციის მოწმობით, დისციპლინა ყველა მაჩვენებლის მიხედვით დაქვეითდა. სწორედ ამიტომ მოუწოდა ფედერაციამ მსაჯებს, რომ შეუპოვრად ებრძოლათ უხეშობასთან. სამწუხაროდ, მოუწოდა კი, მაგრამ ვიცით, რომ ამ მოწოდებას შედეგი არ მოჰყოლია. ზემოხსენებული წერილის კითხვის დროს ამიტომ ვეკითხებოდი საკუთარ თავს: ნუთუ ავტორი, რომელიც ამდენი წელიწადია მხოლოდ ფეხბურთზე წერს, ვერ ხედავს, რა ხდება? და კიდევ: რა საბუთით ამტკიცებს იგი, რომ ფეხბურთის მინდვრებზე „მდგომარეობა სულაც არ გაუარესებულა?" იქნებ მხოლოდ იმ საბუთით, რომ, უბრალოდ, „ბოლო წლებში უხეშობაზე განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ?" ყოველ შემთხვევაში, მე მის წერილში სხვა დასაბუთებას ვერ მივაგენი.

და მაშინ ამავე ავტორის 10 წლის წინანდელი წერილი მომაგონდა. მოვძებნე და გადავიკითხე. უხეშობაზე ეწერა: „ცარიელი სიტყვებითა და წუწუნით აქ ვერას გავხდებით. ლამაზ, ტექნიკურ ფეხბურთს მანამ ვერ ვიხილავთ, სანამ ტექნიკურად, ლამაზად მოთამაშე გუნდები უხეშთა დამარცხებას არ ისწავლიან". მსაჯებზე ავტორი გაკვრით, სხვათა შორის ლაპარაკობს.

მას შემდეგ 10 წელი გავიდა. მაგრამ ტექნიკური, ლამაზად მოთამაშე გუნდების რიცხვი არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა. ბუნებრივია, დღესდღეობით არც ტექნიკური, ლამაზი ფეხბურთი ჩანს, როგორც მასობრივი და დამახასიათებელი მოვლენა. ვინ არის დამნაშავე? იქნებ მართლაც მწვრთნელები, რომლებმაც ვერა და ვერ ასწავლეს თავიანთ გუნდებს უხეშთა დამარცხება? იქნებ უფრო მსაჯები, რომლებიც 10 წლის წინათაც იყვნენ და ახლაც ვალდებული არიან, რომ ტექნიკური მოთამაშეები ამ უხეშებისგან დაიცვან თამაშის მარტივი და ნათელი წესების შესაბამისად?

„უკვე აღარ შეიძლება გულგრილად ვუყუროთ იმ ამბავს, რაც ჩემპიონატის ბევრ მატჩში ხდება, — წერდა ორი წლის წინ სპორტის დამსახურებული ოსტატი დუბინინი. — არ შეიძლება დაბალი კვალიფიკაციის ფეხბურთელებისა და გუნდების სასარგებლოდ უმძიმეს პირობებში ჩავაყენოთ ჩვენი ფეხბურთის ნაღები, რადგან უწესო თამაში, პირველ ყოვლისა, ჩვენს საუკეთესო გუნდებსა და ფეხბურთელებს აყენებს ზიანს".

ეს დაწერილია 1966 წელს — მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჩვენი ნაკრების მზადებაზე ფიქრით. მაგრამ განა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატშია საქმე? აი, რას წერდა 1968 წლის საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე სიხარულიძე: „თუ უხეში თამაშის წინაშე ზღუდე არ აღვმართეთ, ტექნიკურ ოსტატობას სტიმული არ ექნება, გუნდები იძულებული გახდებიან აქცენტი „ათლეტურ" თვისებებზე გადაიტანონ და უხეშებს ასეთივე აგრესიული ფორვარდები დაუპირისპირონ. ეს გზა მალე მოგვექცევს ჩიხში... მაგრამ მსაჯთა საკავშირო ფედერაციას ახასიათებს კასტურობა, ჩაკეტილობა, კრიტიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. კოლეგია ჩახმახზე შემართული ხვდება ყველა სამართლიან, კრიტიკულ შენიშვნას".

ხედავთ, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული? სრული ჭეშმარიტებაა. ახლა ხომ გასაგებია, რატომ ატეხა ფედერაციამ განგაში ჯერ კიდევ წლევანდელი სეზონის დასაწყისში? და საბოლოო ჯამში რატომ არ მოჰყვა წარმატება მის მოწოდებებს? დაბოლოს, ფედერაციის მიერ გამოცხადებულ ხაზს რატომ სჭირდება განსაკუთრებით სპორტული პრესის მხარდაჭერა?

ჩვენთვის უკვე ცხადია, ბოლოს და ბოლოს რა მოგვიტანა ზემოხსენებულმა მოწოდებამ, ისწავლეთ უხეშთა დამარცხებაო. იმის მაგიერ, რომ ტექნიკური ფეხბურთელების წინაშე ბოდიში მოგვეთხოვა, ისევ და ისევ ვწერთ: ფეხბურთში უხეშობა ახალი ხილი არ არისო. არადა, სიხარულიძის სიტყვები, მინდორზე უხეშ მცველთა წინააღმდეგ აგრესიული ფორვარდებიც გამოჩნდებიანო, უკვე პროგნოზი კი არა, თითქმის უსიამოვნო სინამდვილეა.

— რას ნიშნავს სუფთად თამაში? — ჰკითხა ამას წინათ კორესპონდენტმა ხურცილავას, კორექტული თამაშით ცნობილ ჩვენს მცველთა მცირე ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელს.

— ამ შეკითხვას თავდამსხმელს ხომ არ მისცემთ? — უპასუხა ცნობილმა ფეხბურთელმა. — თქვენ გგონიათ, რომ მცველებს მათგან კარგი დღე გვადგას?

მართლაც, ჩვენ უკვე გვყავს ფორვარდები, მინდორზე რომ ჯიკაობენ, მეტოქეს ფეხებში ურტყამენ, ზურგზე ახტებიან, ხელით აკავებენ და ა. შ. მართალია, მათი რიცხვი ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ ხომ არის... ეს იუნიორებსაც ეხებათ. მაგრამ ამ ყურადსაღებ ამბებზე წერენ და მკაცრ, სამართლიან მსაჯობას მოითხოვენ უმთავრესად სპეციალისტები, ფედერაციის მუშაკები, ტექნიკური მოთამაშეები.

სსრ კავშირის ფედერაციამ გადაწყვიტა ბოლო მოუღოს უხეშობას და ბოლოს და ბოლოს მიაგნო ამ ბრძოლის მთავარ გზას. თუ მთელ განვლილ პერიოდში ყოველივე ზემოთქმულის გამო პასუხისმგებლობა მოთამაშეებს, მსაჯებს, მწვრთნელებსა და არაობიექტურ, „თავისი" ფეხბურთელების სიყვარულით დაბრმავებულ პრესას შორის ნაწილდებოდა, ახლა ბრძოლის მიმართულება და თანმიმდევრობა უაღრესად ზუსტადაა მითითებული: პირველ ყოვლისა ბოლო მოეღოს ლიბერალურ მსაჯობას!

მერე რა ვუყოთ, რომ ბრძოლის ეს ხაზი მყისვე წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობას. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩვევა მეორე ნატურაა. ახლა მთავარია ფედერაცია მარტო არ დარჩეს მის მეტოქესთან, რომელიც კრიტიკას ვერ იტანს (მაგალითად, ივნისში „ფუტბოლ-ჰოკეის" ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ცნობა მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომის შესახებ. იქ თეთრზე შავით ეწერა, რომ „მსაჯობა აღიარეს დამაკმაყოფილებლად" და, რასაკვირველია, აღიარა... იმავე მსაჯთა კოლეგიამ). აქ კი ჟურნალისტებს უამრავი საქმე უჩნდებათ. თუ მსაჯები მათი მიმოხილვების, კორესპონდენციების, რეპლიკებისა და წერილების გავლენით მატჩებს წესიერად ჩაატარებენ, ნელ-ნელა, დიდი შრომის შემდეგ, მაგრამ გაცილებით უფრო იოლად და ეფექტურად გადაწყდება ფეხბურთელთა აღზრდის დანარჩენი პრობლემებიც. ეს ეხებათ როგორც „ტყავის ბურთის" ტურნირში მონაწილე ბიჭებს ისე ოსტატებს. ამ აღზრდის საბოლოო მიზანი ისაა, რომ სიტყვა ფეხბურთელი იყოს სინონიმი სიტყვებისა — უზადო სპორტსმენი, რაინდი, ჯენტლმენი.

ამ სიტყვებით იხსენიებდნენ განსვენებულ ფედოტოვს, იხსენიებენ ბობროვს, პაიჭაძეს, ჩესკოვს, სიმონიანს, ლობანოვსკის, მესხს, მეტრეველს, ჰუსაინოვს, მუდრიკს, პონომარიოვს, შესტერნიოვს, ხურცილავას.

ა. გალინსკი.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

● სარეკორდო ანგარიში
● პოტენციური პრიზიორის მარცხი
● აქსიომად ქცეული ტრადიცია

22 და 23 ნოემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

მოსკოვი. სსრ კავშირის ჩემპიონის ცსკა-ს მეტოქე იყო ალმა-ათის „ლოკომოტივი“. მოსკოველთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. მასპინძლებმა მეტოქე 20 ქულის სხვაობით დაამარცხეს — 98:78 (47:35). ეს შედეგი ჯერჯერობით სარეკორდოა.

ალმაათელებმა უკვე ორი მატჩი გამართეს სტუმრად. შინ ჩასვლამდე ისინი კიდევ ერთხელ იასპარეზებენ მეტოქის მოედანზე (კიევში, „სტროიტელთან“), შემდეგ კი თვით უმასპინძლებენ სხვა გუნდებს. ცსკა-ს მორიგი მეტოქეა თბილისის „ბურევესტნიკი“. ეს მატჩი დღეს გაიმართება მოსკოვში.

კიევი. გასულ ჩემპიონატში მოსკოვის „დინამომ“ სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. მართალია, დინამოელებმა სატურნირო ცხრილში მოკრძალებული VII ადგილი დაიკავეს, მაგრამ ამ გუნდს მომავალი ჩემპიონატის პოტენციურ პრიზიორად თვლიდნენ. ეს აზრი თითქოს უსაფუძვლო არც იყო, ვინაიდან მოსკოველებს მართლაც ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ. მაგრამ, როგორც ჩანს, პოტენციალსა და რეალურ ძალას შორის არის რაღაც მანძილი, რომლის დაძლევა დინამოელებმა ჯერ ვერ მოახერხეს. სხვაგვარად ვერ ავხსნით ესოდენ გამანადგურებელ მარცხს კიევში ადგილობრივ არმიელებთან. მოსკოვის „დინამომ“ ეს შეხვედრა წააგო დიდი ანგარიშით — 68:85 (34:40).

კაუნასი. ლიტვის კალათბურთელთა წინააღმდეგ თამაში ამ ქალაქში საოცრად ძნელია. საკალათბურთო ჩემპიონატების ეს თავისებური ტრადიცია აქსიომად იქცა და ამიტომაა, რომ ამა თუ იმ ფავორიტის მარცხი კაუნასში აღარავის უკვირს. მაგალითისთვის გაიხსენეთ თუნდაც გასული ჩემპიონატი: რომელმა გუნდმა არ დატოვა ქულა ლიტვის დედაქალაქში? თვით ცსკა-ც კი იძულებული გახდა ხარკი მოეხადა გუნდისთვის, რომლის საქმეები, სხვა მხრივ, არც ისე ბრწყინვალედ გახლდათ. საკუთარი კედლების ძალას თუ კი სადმე აქვს მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, კაუნასში. ამიტომ თბილისის „დინამოს“ გუშინწინდელი მარცხი ასე თუ ისე გასაგებია. მით უმეტეს, რომ „ჟალგირისი“ წლეულს გაცილებით უკეთ თამაშობს. თბილისელები დამარცხდნენ — 84:93.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (კიევი)	2	2	0	177—141	2
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	2	2	0	158—150	2
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	2	2	0	146—140	2
ცსკა	1	1	0	98—78	1
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	1	1	0	93—84	1
„კალევი“ (ტარტუ)	2	1	1	163—164	1
„დინამო“ (თბილისი)	2	1	1	155—161	1
ასკ (რიგა)	2	0	2	136—143	0
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	2	0	2	154—162	0
„დინამო“ (მოსკოვი)	1	0	1	68—85	0
„სტროიტელი“ (კიევი)	1	0	1	73—92	0
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	2	0	2	164—185	0

ჭადრაკი

ალექსანდრიამ მოუგო კუშნირს

ბრონო, 24 ნოემბერი (**დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.**). აქ დაიწყო სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში. მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. აზერბაიჯანი, 2. უკრაინა, 3. ლატვია, 4. მოსკოვი, 5. ლენინგრადი, 6. ყაზახეთი, 7. ბელორუსია, 8. რსფსრ, 9. საქართველო.

I ტურში საქართველოს წარმომადგენლები უკრაინელებს შეხვდნენ და საკმაოდ წარუმატებლად ითამაშეს. დამარცხდნენ გუფელდი, ლომაია, უბილავა, მეჩითოვი. ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იზვოზჩიკოვმა. გადადებული პარტიების დამთავრებისას მხოლოდ კობაიძემ გაიმარჯვა, ბუსლაევმა და გიორგაძემ ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები, ხოლო ალექსანდრიამ, ხუგაშვილმა, გურგენიძემ და ჩეჩელიანმა თავიანთი პარტიები წააგეს. საბოლოოდ, მატჩის ანგარიშია 9,5:2,5 უკრაინის გუნდის სასარგებლოდ.

ამ ტურის სხვა მატჩების შედეგები ასეთია: ლატვია — რსფსრ 7,5:4,5, მოსკოვი — ბელორუსია 8:4, ლენინგრადი—ყაზახეთი 10:2.

II ტურში საქართველოს მოჭადრაკეები ლატვიელებს შეხვდნენ და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 8:4. გუნდს ქულები შესძინეს ალექსანდრიამ, გურგენიძემ, ჩეჩელიანმა, ხუგაშვილმა, იზვოზჩიკოვმა, უბილავამ. ყაიმით დაამთავრეს პარტიები გუფელდმა, ბუსლაევმა, კობაიძემ და გიორგაძემ, ხოლო მეჩითოვი და მიქაძე დამარცხდნენ.

აი, ამ ტურის სხვა შედეგებიც: ბელორუსია — ლენინგრადი 4:8, რსფსრ— მოსკოვი 6,5:4,5 (ერთი პარტია გადადებულია), აზერბაიჯანი — უკრაინა 3:9.

III ტურში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მოსკოველებს შეხვდნენ. ალექსანდრიამ შესანიშნავ სტილში დაამარცხა კუშნირი. მეჩითოვმა მოუგო ვესელოვსკის. ყაიმით დამთავრდა გუფელდ — ბრონშტეინის, გურგენიძე — ხოლმოვის, ბუსლაევ — ვასიუკოვის, ლომაია — ლიბერზონის, მიქაძე— შამკოვიჩის, უბილავა — ბალაშოვისა და კობაიძე — ტიტორენკოს შეხვედრები. იზვოზჩიკოვი დამარცხდა ავერბახთან, ჩეჩელიანი — შვარცთან. ჯერჯერობით ანგარიშია 5.5:5,5. გადადებულ პარტიაში ხუგაშვილი უგებს მედიანიკოვას.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ლენინგრადი — რსფსრ 6,5:5,5, ლატვია — აზერბაიჯანი 8.5:3,5, ყაზახეთი — ბელორუსია 5,5:6,5.

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

ყოველი მხრიდან

ტრაგიკული ბალანსი

საოცარი, გაურკვეველი, ხშირად ტრაგიკულიცაა პროფესიონალი ავტომრბოლელის ბედი დასავლეთში.

როგორც ცნობილია, სპორტული სეზონის დასასრულს შედეგებს აჯამებენ. ამ მხრივ გამონაკლისს არც საავტომობილო სპორტი შეადგენს. და კომენტატორები ადიდებენ ჩემპიონებს, ანუგეშებენ დამარცხებულებს, ამხნევებენ ახალბედებს. ვერ ანუგეშებენ ისინი მხოლოდ იმ სპორტსმენთა ახლობლებს, რომლებიც გზატკეცილზე დატრიალებული ტრაგედიების მსხვერპლნი ხდებიან...

წლეულს უბედური შემთხვევების მხრივ „რეკორდი“ ამერიკის ტრასებს ეკუთვნით. მაგალითად, ამას წინათ ინდიანოპოლისის შეჯიბრებებში ერთ-ერთი მანქანა მოსახვევში მაყურებელთა ჯგუფში შეიჭრა და რვა კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. ამერიკის ყველა გაზეთმა დაბეჭდა შეჯიბრების დროს ამოწყვეტილი მთელი ოჯახის — ცოლ-ქმარ კოულმენებისა და მათი ორი პატარა ბავშვის ფოტოსურათი. 26 წლის მრბოლელი დ. უოლესი ჰოსპიტალში წევს და მისი გადარჩენა საეჭვოა.

მაგრამ ეს ამბავი, როგორც ჩანს, ნაკლებად აღელვებს აშშ-ს საავტომობილო საქმოსნებს. ისინი მოგების მიზნით იყენებენ უბედურ შემთხვევებსაც კი, რადგან ეს იზიდავს მძაფრი განცდების მოყვარულთ და კარგ რეკლამას უწევს ფირმების საქონელს. ათი წლის წინ იტალიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ავტორბოლა 1000 მილზე. მაგრამ, რადგან ყველა შეჯიბრებას უბედურება მოსდევდა (იტალიელებმა რბოლას „კომპეტიციონე დი მორტე“ — „სიკვდილის შეჯიბრება“ დაარქვეს), ამ ქვეყნის მთავრობამ იგი აკრძალა. და აი, ათი წლის შემდეგ 1000 მილზე რბოლა ამერიკაში გავრცელდა. აშშ-სა და მექსიკის საზღვარზე ყოველ წელიწადს იყრიან თავს ავტო და მოტომრბოლელები, რათა აქ აიღონ სტარტი. ამ შეჯიბრებას სპორტთან არაფერი აქვს საერთო. ამას მოწმობს თუნდაც ასპარეზობაში ჰოლივუდის ისეთი ვარსკვლავების მონაწილეობა, როგორიც არიან სტივ მაკუინი, პოლ ნიუმენი და ჯეიმს გარდნერი. რასაკვირველია, მათ დიდძალ ფულს უხდიან.

1000 მილზე რბოლის ტრაგიკული ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა: დისტანციის 282-ე კილომეტრზე დაიღუპნენ ამერიკელები სტივ და რიჩარდ სმითები. გფრ-ის მრბოლელები ვ. გერჰარდი და ბ. ვრედე სამუდამოდ დასახიჩრდნენ.

ასეთი შემთხვევები არც ევროპის კონტინენტზეა იშვიათი. ამ დღეებში პარიზის ირგვლივ გამართულ რბოლაში დაიღუპა ერთ-ერთი ვეტერანი მრბოლელი კ. მარბაკი.

● ●

ჩოგბურთის „ზღაპრული ბიჭი“

ლონდონის დიდი საჩოგბურთო ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე შოტლანდიის პირველმა ჩოგანმა ჯ. კლიფტონმა მიიღო მიწვევა, რომ ამ შეჯიბრებაში გამოსულიყო... ბურთის მიმწოდებელ ბიჭად. ტურნირის ორგანიზატორებმა დაივიწყეს, რომ კლიფტონი უკვე 23 წლისაა და ამ წინადადების მიღება მისთვის, უბრალოდ, უხერხული იყო.

მაგრამ ყველაფერი კარგად მოგვარდა. შოტლანდიელმა ჩინებულად ითამაშა „დივორის თასზე“ ახლახან დამთავრებულ ხუთტურიან სერიაში, სადაც დაამარცხა ისეთი ცნობილი ჩოგბურთელები, როგორიც არიან რ. ჰიუიტი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და გ. სტილუელი (ინგლისი).

ამ გამარჯვებათა წყალობით კლიფტონმა შეძლო ლონდონში ტურნირის თანაბარუფლებიან მონაწილედ ჩასულიყო. და უკვე პირველ წრეში მან დაიმტკიცა ჩემპიონის ტიტული, როცა ერთ-ერთი უძლიერესი დანიელი მოთამაშე ტ. ულრიხი დაამარცხა. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, რომელიც მატჩს უყურებდა, დაბნეულმა თქვა: „აღფრთოვანებული ვარ ბატონი კლიფტონით. ეს ჩოგბურთის „ზღაპრული ბიჭია!“



დუელი წყალში

ყველაზე დიდი თევზი, რომელიც ინგლისელმა როჯერ კოლტმანმა დაიჭირა, კინაღამ მისი დაღუპვის მიზეზი გახდა.

თავგამოდებული მეთევზე კოლტმანი ამხანაგებთან ერთად ნაპირიდან რვა მილზე შევიდა. უზარმაზარმა ვირთევზამ, რომელიც ანკესზე წამოეგო, მკედი გაუწყვიტა. შემდეგ ყველაფერი უეცრად მოხდა. კოლტმანი მკედის ბოლოს დაებღაუჭა და წყალში გადავარდა. თევზმა იგი უდიდესი სისწრაფით გაითრია ას მეტრზე, მერე კი შეუტია — კუდი თავ-პირში დაუშინა. მაგრამ მამაცი მეთევზე არ დაბნეულა მაშინაც კი, როცა თევზმა ჩაყვინთა და ისიც თან ჩაითრია. კაცისა და თევზის დუელი თითქმის 15 წუთს გაგრძელდა.

სურათზე, რომელიც ჟურნალმა „კვიკმა“ გამოაქვეყნა, თქვენ ხედავთ ბედნიერ გამარჯვებულს თავის ნადავლთან ერთად.

ორი ქულით ჩამორჩა...

აფხაზეთის ველოსიპედისტთა პირადგუნდურ პირველობაში 50 სპორტსმენი მონაწილეობდა. საგზატკეცილო რბოლების სტარტზე გამოვიდნენ „დინამოს“, „კოლმეურნის“, „განთიადის“, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და სხვათა ველოსიპედისტები.

პირველ დღეს გაიმართა ინდივიდუალური რბოლა ქალებისთვის 15, ვაჟებისთვის კი 20 კილომეტრზე. ქალებიდან ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ლ. ჩერნიაგინამ გადაკვეთა. ვაჟთა შორისაც პირველობა ამ საზოგადოების წევრმა ა. ჯლარკავამ დაისაკუთრა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჯგუფური რბოლა. ქალები ასპარეზობდნენ 20-კილომეტრიან დისტანციაზე. აქ საუკეთესო მაჩვენებლები აღმოაჩნდათ „კოლმეურნის“ გუნდის წევრებს. ფინიშის ხაზი მათ ასეთი თანმიმდევრობით გადაჭრეს: მ. პლადო, ლ. კონო და ლ. ჩერნიაგინა.

ვაჟები 75 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. აქ კი „დინამოს“ წარმომადგენელმა ა. მურადიანმა იმარჯვა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „დინამოს“ ველოსიპედისტებმა (73 ქულა). სოფლის სპორტსმენები მათ მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩნენ. III საპრიზო ადგილზე „განთიადის“ წარმომადგენლები გავიდნენ.

გ. კოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
სოხუმი.

ბერლინი, 23 ნოემბერი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლატვიის ძალოსანთა აქ გამართულ სამატჩო შეხვედრაში თავისი პირველი მსოფლიო და საკავშირო რეკორდი დაამყარა 26 წლის რიგელმა გ. ივანჩენკომ (საშუალო წონა): სამჭიდში მან 492,5 კგ (160+145+187,5) დააგროვა. წინანდელი რეკორდი (490 კგ) საბჭოთა სპორტსმენს ა. გოლუბოვიჩს ეკუთვნოდა.

• • •

სკიენი, 24 ნოემბერი. მსოფლიო რეკორდების ცხრილში ბოლო თვენახევრის მანძილზე მესამედ შეიტანა შესწორება საშუალო წონის შვედმა ძალოსანმა ჰ. ბეტენბორგმა: ამ ნორვეგიულ ქალაქში მან 171,5 კგ აჰიმა, რაც ნახევარი კილოგრამით მეტია მისივე ამასწინანდელ რეკორდზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის
პირველობა

დღეს
„დინამო“ (თბილისი) —
„დინამო“ (კიევი)
(ახალგაზრდული
შემადგენლობები)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.
მატჩზე ძალაშია ფასიანი
აბონემენტების ტალონი № 16.

თბილისის სპორტის
სასახლე

27 ნოემბერი

სსრ კავშირის 1970 წლის პირველობა „ა“ კლასის ვაჟთა გუნდებს შორის.

კალათბურთი

„დინამო“ (თბილისი) —
ასკ (კიევი)
დასაწყისი 20 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 11720